შინაური საქმეები

ყოველკვირეული გაზეთი.

№ 2.

...ირა, იანვარი 10, 1910 წ.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკათ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

41. 1910/09

შინაარსი: საახალწლო ფიქრები ახალი ეგზარხოსის მოლოდინში—ხელისა; კიდევ ქართული საეკლესიო წიგნების შესწორების შესახებ—დიმიტრას მამიდაშვილისა; სიტყვა—დეკ. კ. ცინცაძისა; იმერეთის მარშლებს (ლექსი)—ხობობისა; დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის სიტყვების გამო საქართველოს მოკლულ რუსი ექსარხოს ნიკონის შესახებ—ლ. ჩიხელისა; რას ამბობენ შესანიშნავი ადამიანები ბიბლიის შესახებ—ო. მწირისა; ნინოობის მოლოდინში—სვირელისა; დაგვიანებული პასუხი—თ. საგანელიძისა.

წელიწადი მესამე.

მიიღება ხელის მოწერა 1910 წელს

საეკლესიო და საზოგადოებრივ ყოველკვირეულ „შინაურ საქმეებზე“



17056

საბლაღოჩინო ოლქს ორი ცალი გაზეთი უფასოდ დაეთმობა ღარიბ ეკლესიებისთვის, თუ ათ ცალს გამოიწერს და ხვედრ ფასს ნახევარს მაინც წინდაწინ წარმოადგენს. სოფლის მასწავლებლებს და მოწაფეებს გაზეთი 3 მანეთად დაეთმობა. გაზეთი არავის გაეგზავნება, თუ ნახევარი წლის გადასახადი დაზღვევისათანავე არ შემოიტანა.

გაზეთის წლიური ფასი ყველგან 4 მანეთი.

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (სასურთალო—კაზაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სოშხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ₾ 50 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

საახალწლო ფიქრები

ახალი ეგზარხოსის მოლოდინში.

ახალ ექსარხოსს მოველით. სწორეთ რომ ვსთქვათ, მოელის მრავალტანჯული ყოფილი ივერიის ეკლესია. იყო დრო როცა ივერიის ეკლესიას თვალი აღმოსავლეთისაკენ ეჭირა და იქიდგან ელოდა თავის სულიერ მამას; ყოველ მის მოსვლას სიხარულითა და აღტაცებით ეგებებოდა, ყოველ მის მოქმედებას და განკარგულებას სული წმიდის შთანა-

გონ ჭეშმარიტებად ღებულობდა და უსიტ-ყვოდ ასრულებდა. და ამას ხელს უწყობ-და ის გარემოება, რომ უცხოელი მწყემსთ-მთავარი საქართველოში სრულიად ივიწ-ყებდა თავის თვისტომობას და ხდებოდა ღვთისგან ჩაბარებული ეკლესიის ინტერე-სების ნამდვილი სულით და გულით დამ-ცველი. საქართველოს საზღვარს რომ გადმოსცდებოდა, იგი უცხო ტომის წარ-მომადგენელად აღარ რაცხდა თავს და უკვე საქართველოს ხალხის და ეკლესიის ინტერესებს იცავდა. აღმოსავლეთის ეკლესია არასოდეს ძალდატანების გზაზე არ მდგარა და ნაციონალურ სარგებლობას ყოველთვის უკან აყენებ-და ეკლესიურ-სარწმუნოებრივზე. სწო-რეთ ეს იყო მიზეზი, რომ ეკლესიურ ავტოკეფალობის შემოღებამ სრულიად უბრძოლველად ჩაიარა და დიდი მაცა-დინობა და ხვეწნა-მუდარა არ დასჭი-რვებია. ან რომელ მართლმადიდებელ ტოიმს ხალხს დასჭირდა მის წინააღმდეგ ბრძოლა მისგან ეკლესიურ ავტოკეფალო-ბის შემოღებისათვის? თვით რუსეთის მარ-თლმადიდებელმა ეკლესიამ განიცადა ასეთი მშვიდობიანი დაფუძნება თავის ავტოკეფალობისა. ერთი სიტყვიერი უარიც არსად განუცხადებია აღმოსავ-ლეთის ეკლესიას ასეთნაირ სურვილებ-ზე და, მცველი წმ. მოციქულთა და მსოფლიო კრებათა კანონებისა, ვერც განაცხადებდა. ასეთი არა ქრისტიანული ჩვეულება სჭირდა და სჭირს მხოლოდ დასავლეთ, პაპის ეკლესიას. მისგან არა-ვინ განთავისუფლებულა მშვიდობიანად, თუ არა საშიშარ უარყოფის და მწვა-ლებლობის გზით.

იცვალა დრო. ერთხელ თვითმმარ-თველად აღიარებული ეკლესია დროთა ვითარების გამო მისუსტებული, ღონე-მილეული, იძულებული ხდება დაუთ-მოს ძალმომრეობას და ჰკარგავს თავი-სუფლებას; და აი დღეს ჩრდილოეთიდგან მოელის სულიერ მამას, მოძღვარს და წინამძღვარს. კეთილი იყოს მისი მოსვლა! იგი ხელს არ ჰკრავს მას. მაგრამ მართა-ლი უნდა ვსთქვათ, რადგან ამას გვავა-ვალებს მაცხოვარი, ის ძველებური აღტა-ცება და სიხარული აღარ ატოკებს თანამე-დროვე ქართველ მართლმადიდებელ, ქრისტიანე ეკკლესიის გულს, რომელსაც განიცდიდა იგი მეოთხე საუკუნის პირვე-ლი ნახევრიდგან, ვიდრე ვახტანგ გორგას-ლანამდე.. მართალია, ბევრი მიხლამ-ოხლა დღეს, ბევრი ტელეგრამები და მილო-ცვები, მაგრამ ყველა ეს მედლის ზედა პი-რია, ყველა ეს გარეგნულია. და გამოხა-ტავს ძმური განწყობილების და სიყვარუ-ლის კავშირის სურვილს და არა მის შე-დეგს. კარგა ხანია ექზარხოსებმა უარჰყვეს ქართველებთან ძმური კავშირი და მოევ-ლინენ საქართველოს ეკკლესიას პო-ლიტიკურ აგენტებად, რომელ თანა-მდებაობასაც არაფრად მიაჩნია სიყ-ვარული და ძმური ერთობა. ცნო-ბილია, პოლიტიკური მისწრაფებანი ხშირად ეწინააღმდეგებიან სარწმუნო-ებრივს და სწორედ ეს გახდა საბაბათ, რომ საქართველოს ეკკლესიამ მოითხო-ვა ავტოკეფალობა.....

როგორ უნდა მოიქცეს თანამედრო-ვე ექსარხოსი, რომ თავი მაინც მოსწმინ-დოს იმ საშიშარ და სასიკვდინე იარას, რომელიც დაასვა საქართველოს ეკლე-სიას ასი წლის ექსარხოსობამ? 1) მან უნდა თავი დაანებოს ყოველგვარ პოლი-ტიკურ მისწრაფებას და უყუროს თავის სამწყსოს არა ვიწრო ნაციონალურ თვალსაზრისით, არამედ ფართო სარწმუ-ნოებრივი მხედველობით, რომ ქრისტეს ეკკლესიაში „არა არს ურიაობა, გინა წარმართობა, ბარბაროს, სკვითელ, მო-ნობა“ და სხვა. უნდა ღრმად ჰქონდეს შეგნებული, რომ მისი მოვალეობაა მო-ამზადოს ადამიანი ზეციური სასუფევე-ლისათვის. 2) მან ღრმად უნდა შეისწავ-ლოს თავის მართლ მადიდებელ სამწყსოს (უმთავრესი ნაწილის მაინც) ენა, ზნეჩვე-

ულებანი და სარწმუნოებრივი თვისებანი. 3) ხშირად უნდა უნდა მიმოვლიდეს თავის სამწყსოს და პირადად ადგილობრივ ეცნობოდეს მის სარწმუნოება-ზნეობრივ მდგომარეობას 4) ნება უნდა მისცეს თავის ქორეპისკოპოსებს, იცხოვრონ თავის რაიონებში და ახლოდგან ადევნონ თვალყური რწმუნებულ სამწყსოს და მწყემსთა. 5) სიტყვით და საქმითა ხელი შეუწყოს შერყეულ სარწმუნოების აღდგინებას, რისთვისაც საჭიროა შექმნას სხვა და სხვა სარწმუნოებრივ-განმანათლებელი დაწესებულებები, დაეხმაროს და მოყვრულ თვალით უცქიროს უკვე არსებულებს. 6) არ შელახოს და არ შეავიწროვოს ადგილობრივ მწყემსთმთავართა მოციქულთა და მსოფლიო კრებათაგან მინიჭებული უფლებები, არამედ იქონიოს მათთან ძმური განწყობილება სადიდებელად ღვთისა და სასარგებლოდ ეკკლესიისა. 7) აღადგინოს ქართული წირვა ლოცვა, სადაც ამას მოითხოვს სამწყსოს მდგომარეობა. 8) შეიგნოს და შეისწავლოს ძირითადი საფუძველნი ყოფილ ივერიის ეკკლესიისა, რომელნიც მისცემენ მას დარიგებას და ზნეობრივ ძალას მოიქცეს ისე, როგორც შეეფერება მაცხოვრის მოადგილეს, მის მოციქულს.

ხელი.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲥᲐᲗᲣᲚ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ხალისით და გულდადებით გადავიკითხე დეკ. კ. ცინცაძის წერილები ჩვენი საეკკლესიო წიგნების შესახებ*) მ. ცინცაძე გვიმტკიცებს, საჭიროა ჩვენი საეკკლესიო წიგნების შესწორებაო. მაგრამ ვერ გაგვიგია, ვისთვის დასჭირდა ამისი მტკიცება პატივცემულ მოძღვარს!? ვინ იყო ან ვინ არის საქართველოში ამ აზრის მოწინააღმდეგე, ამ საჭიროების უცოდინარი, ამ საქმის დამცარავი და დამბრკოლებელი? ბ. ბ. ხელი, რამპოლლა და სხვები, ვინც კი შეეხო ამ საკითხს, ყველანი ერთხმად აღიარებენ ხსენებული წიგნების შესწორების აუცილებლობას, ხოლო ეს შესწორება, მათი შეხედულობით, უნდა სწარმოებდეს დიდი წინდახედულობით, დიდი სიფრთხილით საქმის ზედმიწევნითი ცოდნით და პირველში უთუოდ კერძოთ. შემდეგ ესეთი შრომა უნდა განხილულ იქნეს სასულიერო უწყების კომპეტენტური დაწესებულების მიერ და, როდესაც უკანასკნელი მოიწონებს წარდგენილ შრომას, როდესაც სასულიერო დაწესებულება თავისი ავტორიტეტით სავალდებულოდ გახდის შესწორებების მიღებას, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ამ შესწორებათა შეტანა ეკკლესიურ ხმარებაში. ამ აზრს ერთ წუთსაც არ უნდა ივიწყებდეს ის, ვინც ხელსა ჰკიდებს წიგნების შესწორებას, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა წიგნების შებღალვა, შებილწვა, გარყვნა, დამახინჯება და არა შესწორება, არა გამართვა და აღდგენა ნათქვამის სანამდვილე თვალსაჩინოდ, მტკიცდება მ. ცინცაძის საქციელით. დეკ. ცინცაძეს, როგორც მისი წერილიდან სჩანს, უნებებია თავისთავად, დაუკითხავათ ვისიმე, ძველსა და ახალ კონდაკებში დაბეჭდილი კვერექსის „აღუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა“ ამ გვარად შეცვლა: „აღვასრულოთ ვედრება ჩვენი უფლისა მიმართ“. რა საბუთით, რომელი მოსაზრებითო, იკითხავთ. მოუსმინოთ შემსწორებელს.

„თუ დაუკვირდებით წირვა-ლოცვის იმ მომენტსო, ბძანებს მ. ცინცაძე, როდესაც იხმარება ეს კვერექსი, გავიგებთ, რომ ამ მოწოდებით დიაკონი (ანუ მღვდელი) აცნობებს მვედრებელთ, დროა საზოგადო ღვთის მსახურება (წირვა, ცისკარი, მწუხრი) გავათავოთო“.

სასტიკი შეცდომაა განათლებული დეკანოზის მხრით ასეთი განმარტება და პირდაპირ მოვახსენებთ, რომ ის არას დროს არ დაჰკვირვებია აღებული კვერექსის ხმარების მომენტს.

*) იხ. „შინ. საქ.“ №№ 36 და 37.

ნაჩვენები კვერექსი ყველა დროის ხელთნაწერ და დაბეჭდილ კონდაკების ლიტურგიებში (ოქროპირისა და ვასილი დიდისა) მოყვანილია შემდეგ დიდი გამოსვლისა ანუ საღვთო ძღვენთა სამკვეთლოდან წმ. ტრაპეზზე გადმოსვენებისა; ეს მომენტი კი მხოლოდ დასაწყისი, ჯერ პირველი ფეხის შედგმაა მორწმუნეთა ლიტურგიაში და რა ჰკუაში მოსასვლელია, რომ აქ დიაკონმა ან მღვდელმა აცნობოს მლოცველებს გავათავოთ, გვეყოფა, მოვრჩეთ საზოგადო ღვთის მსახურებას და სახლებში წავიდეთო! ეს „აფუ" კი არა, სპილოს სიმსხო შეცდომაა და „აღუსრულოთ" რომ „გავათავოთ"-ს არ ნიშნავს ამ შემთხვევაში, ამისი მტკიცება სათაკილოთ მიგვაჩნია. არ დავიჯერებ, რომ მ. ცინცაძე და მისი ცნობილი მ. ნიკო დიაკონი ნაჩვენები კვერეკსის შემდეგ ათავებდნენ წირვას, რადგანაც ამ კვერეკსიდან „მშვიდობით წარვიდეთ" — ამდენ კარგა დიდი მანძილია.

ამ მოწოდებას რომ ის მიზანი ჰქონდეს, რომელსაც მას აწერს დეკ. ცინცაძე, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ წმ. იოანე ოქროპირს და ვასილ დიდს უაზროთ და შეცდომით მიუთვისებიათ ამ თხოვნისთვის მორწმუნეთა ლიტურგიის დასაწყისი. მაგრამ განა ჩვენისთანა ქინქლა—კოლოები უნდა უსწორებდეს ამ მსოფლიო მოძღვრებს ლოდიკას და მოფიქრებას!? არა, ლიტურგიის წესის დამაარსებლებმა ჩვენზე ათასწილ უკეთ იცოდნენ ყოველი კვერექსის ალაგი და არაფერი შეცდომა არ მოსვლიათ, რომ ორთავე დიდებულმა მამებმა მორწმუნეთა ლიტურგიის დასაწყისშივე გაუმწესეს ალაგი თხოვნას „აღუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა". მათი „Πληρωσωμεν την δεησιν υμων τω Κυριω", სრულებით არა ნიშნავს გავათავოთ, მოვრჩეთ დავეთხოვოთ ლოცვასაო. ბერძნული მზმნა „Πληροω" ნიშნავს ავსებას (ჭურჭლისას წყლით)

ამიტომ მოწოდებით „აღუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა" დიაკონი (ან მღვდელი) ტაძარში მყოფთ ამხნევებს, აფხიზლებს, აგულიანებს და აქეზებს მხურვალე, ბეჯით ლოცისთვის, აბა ვეცადოთ, აბა მოვინდომოთ, აბა, რაც შეიძლება, გულმხურვალეთ დავიწყოთ ღვთის ვედრებაო. მეტი მიზანი ამ მოწოდებას არა აქვს.

ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ იქნება „აღუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა", როგორც მ. ცინცაძე ბრძანებს, გამოსთქვამს იმ შეუწყნარებელ აზრს, ვითომ ჩვენს ვედრებას საჭიროებს უფალი, იქნება ასეთ თქმულებაში ადგილი არა აქვს ნება ყოფლობითს განწყობილებას და დეკ. ცინცაძესაგან მიღებული „აღვასრულოთ ვედრება ჩვენი უფლისა მიმართ" კი გვიხატავს სწორე აზრს, რომ ჩვენი ვედრება ჩვენთვისვეა საჭირო და ამასთან ნაჩვენებ ფორმაში ალაგი აქვს ნება-ყოფლობითს განწყობილებას, რის გამოც იგი უფრო მკაფიოთ გამოხატავს ღვთისა და კაცთა შესაფერ განწყობილებას? დიაღ, ასე ბჭობს პატიოსანი დეკანოზი, მაგრამ, ვაი, რომ ეს მხოლოდ განყენებული, მშრალი და სოფისტიკური ბჭობაც ისეთივე თაღლითი და ყალბია, როგორც მისი დაკვირვება წირვის იმ მომენტზე, როდესაც იხმარება კვერეკსი „აღუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა"!

მ. ცინცაძე საღვთო სჯულის მასწავლებელია საშუალო სასწავლებელში. წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: დეკ. ცინცაძეს პატივის მცემელმა და მოსიყვარულე მოწაფეებმა მოიყარეს ერთად თავი, ითათბირეს ბევრ რამეზე და ბოლოს გადაწყვიტეს—მოდი, რაც შეიძლება, კარგა **მოუმზადოთ** მ. ცინცაძეს ხვალინდელი გაკვეთილი. ნუ თუ ამ დადგენილებაში ვინმე ამოიკითხავს იმ აზრს, რომ გაკვეთილები ცინცაძესთვის არის საჭირო და არა მოწაფეებისთვის? ნუ თუ ამ დადგენილებაში ვინმე დაინახავს ძალ დატანების ან იძულების ნიშანს? **„მოუმზადოთ"** რომ ამბობენ ამითი იმას გამოსთქვამენ, რომ შევასრულოთ ისეთი საქმე, რომელიც მოსაწონი იქნება ჩვენი საყვარელი მასწავლებლისთვისო, რომლითაც ვასიამოვნებთ მის გულს, რომლითაც დავუმტკიცებთ მას ჩვენს თანაგრძნობას, რომლითაც დავანახვებთ მას, რომ მის მოძღვრებას სასურველი გავლენა აქვს ჩვენზედ და სხ. ხოლო „მოვამზადოთ" რომ თქვან, აქ სახეში აღარაა მიღებული მასწავლებლის პიროვნება, ჩვენ მოვამზადოთ გაკვეთილი და რას მიქვიან მასწავლებელი, მისი სიამოვნება,

მისი წყენა, მისდამი პატივისცემის გამოთქმა და სხვებიო. პირველი ფორმა მაჩვენებელია ისეთი საქციელის შესრულებისა, რომელსაც მოელის მეორე მხარე და სასურველია მისთვის, მეორე ფორმა კი აღნიშნავს ისეთი საქციელის შესრულებას, რომელიც შეიძლება, არც მოსალოდნელი და არც სასურველი იყოს მეორე მხარესთვის. ამიტომ „აღესრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა“ გაცილებით უმჯობესად და შესაფერისათ გამოსთქვამს ჩვენსა და ღმერთს შორის შესაფერისს განწყობილებას, ვიდრე „აღვასრულოთ ვედრება ჩვენი უფლისა მიმართ“. პირველ თქმაში სიმშვიდე, სიმდაბლე და გულის შემუსვრილება ისმის, მეორეში კადნიერება და მბრძანებლობა.

„ვედრება უფლისა მიმართ, სწერს მ. ცინცაძე, ვალდებულობა კი არ არის, არამედ ისეთივე მოთხოვნილებაა ჩვენის სულიერი არსებისა, როგორც აზროვნება, უბნობა, გალობა და სხვ. ვედრებაო, განაგრძობს ჩვენი ავტორი, წმ. იოანე ოქროპირისა, გრიგოლ ნისელისა და ეფრემ ასურის აზრით, არის საუბარი უფალთან, ზე აღვლენა მისდამი გონებისა და გულისა, და ამისთვის მისი ვალდებულებად დასახვა ისეთივე უაზრო იქნება, როგორც სუნთქვის მოძრაობის და სმა-ჭამის მოვალეობად შერაცხვა“-ო.

როგორ მოგწონს, ძვირფასო მკითხველო, ღვთისმეტყველება? სუნთქვა რეფლექტური მოქმედებაა; რეფლექტური მოქმედების განსაკუთრებითი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ იგი სწარმოებს და სრულდება კაცის შეგნებისა და სურვილის დაუკითხავათ, გარეშე, მიუხედავად კაცის შეგნებისა და ნებისა. ამიტომ მისი მოვალეობად დასახვა უცნაურობაა. მაგრამ ვერ გაგვიგია, რატომაა უაზრობა ლოცვის დასახვა კაცის მოვალეობად? დიაღ ლოცვა რომ რეფლექტური მოვლენა იყოს, მაშინ არა გვეთქმოდა რა მოყვანილ მსჯელობის წინააღმდეგ, მაშინ მელორე და პროფესორი, მღვდელი და სოციალდემოკრატი, ბალღი და მოხუცებული ერთგვარი და თანაბარი უნებლიეთნი მაეედრებელნი იქნებოდნენ ღვთისა ისე, როგორც ეხლა ერთგვარათ და თანაბრათ ვსუნთქავთ ყველანი; მაშინ ლოცვა არავის ჩაეთვლებოდა მოღვაწეობად, კეთილ საქმედ, სათნოებად, მადლად. მაგრამ განა ლოცვა რეფლექტური მოვლენაა? განა ლოცვა ცოტა ღვაწლსა და ზნეობრივ შრომასა თხოულობს? განა ლოცვას გონებისა და ზნეობის განვითარება არ ესაჭიროება? განა საღვთო სჯულის სახელმძღვანელოებში ლოცვა სიკეთეთ, ღვაწლად, მადლად და სათნოებად არ არის აღიარებული? განა სათნოება და კეთილი საქმე მორწმუნე ქრისტიანისთვის ზნეობრივ ვალდებულებას არ შეადგენს? განა ზნეობის სფერაში ვალდებულება და სულიერი მოთხოვნილება ერთი მეორის ექვივალენტები არ არიან? აქამდისინ ეს ნამდვილათ ასე იყო, მაგრამ მ. ცინცაძე, ალბათ ღვთისმეტყველების სისტემის გადაბრუნებას აპირებს და ვნახოთ, მომავალი რას მოგვიტანს.

ვერც მეცამეტე საუკუნის ხელნაწერი კონდაკები გაამართლებენ მ. ცინცაძის საქციელს. წინეთაც გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ეს ხელთნაწერები ღვთის თითით არ არიან დაწერილები, იმათშიაც ბევრია შეცდომები. ჯერ უნდა მეცნიერულად შეეისწავლოთ მათი ღირსება და მერე მივიღოთ ავტორიტეტებმად, თორემ მარტო სიძველე სისწორეს არ ნიშნავს. ამაში თავისდაუნებურად მ. ცინცაძეც გვეთანხმება. სიტყვები „აღვასრულოთ ვედრება ჩვეი უფლისა მიმართ“ მას ამოუღია მეცამეტე საუკუნის ხელთნაწერი კონდაკებიდან, იმ განსხვავებით, რომ ხელთნაწერებში ყოფილა ზედმეტი სიტყვა „ღვთისა“ და ეს სიტყვა გამოუკლია მას, რადგანაც არც ბერძნულ კონდაკში ყოფილა. თქვენ გაიხარეთ, მამაო დეკანოზო! ეხლა ერთი ზედმეტი სიტყვა აღმოაჩინეთ ხელთნაწერ კონდაკებში, მაგრამ უკეთესათ რომ შეისწავლოთ სამღვთო წერილის ენა და ბერძნული ენის მეტი ცოდნაც რომ შეგწევდეთ, შესაძლოა იმაშიაც დარწმუნდეთ, რომ „Πληροῦσθαι“ უფრო ზედმიწევნით გამოსთქვამს „აღესრულოთ“, ვიდრე

თქვენგან შეწყნარებულ-შეყვარებული „აღვასრულოთ“.

დანარჩენში მ. ცინცაძის წერილი ბევრ საყურადღებოს არაფერს არ იძლევა, მაგრამ რომ საქმე სისრულით გავარკვიოთ, მეორე წერილში ამ დანარჩენსაც განვიხილავთ.

დიმიტრას მამიდაშვილი.

ნინაობის მოლოდინში.

(გუძღვნი ი. ს—შვილს).

14 ამ თვეს ნინო ქართველთ განმანათლებელის დღესასწაულია. ამ დღესასწაულის შესაგებებლად ერთი კვირით, ერთი თვით უნდა ემზადებოდნენ. განსაკუთრებით ჩვენი დედები. მაგრამ რას ვხედავთ? ბაიბური არ იძვრის არა თუ დედათა შორის, არამედ მამათა და მწყემსთა შორისაც. ეტყობა ეს დღე ისე უფერულად ჩაივლის ქუთაისში, და საზოგადოდ იმერეთში (ვაი თუ ქართლ კახეთშიდაც)! როგორც ყოველი უბრალო დღე. ხოლო რა შრომაში და ზრუნვაში მიმდინარეობს დღეები ქუთაისის ეგრეთ წოდებულ მაღალ წრის მანდილოსანთათვის, ეს ყველამ კარგათ იცის. დღე ძილი, ღამე კლუბი, თიატრი და უზუნდარა-ვალსი და ხან-გამოშვებით მღერა და ბანქო-ლოტო-ნარდი მის შედეგები..... მდიდარ დედმამის შვილმა ნინომ, რომელსაც ადვილად შეეძლო ფართო საერო გემოზე მოეწყოთ ავისი მომავალი, უარჰყო ყველაფერი და გაეშურა სადღაც უცხო ქვეყნისაკენ, რომ უმეცრების ბნელში მსხდომ ხალხისათვის გაეცნო ნათელი ჭეშმარიტებისა. ამის მაგიერად დღევანდელი დამახიჯებული ქართველი დედა თეატრისკენ მიეშურება, ყოველ დღე ქმრის წვა დაგვით ნაშოვარ ფულებს ხარჯავს მისთვის, რომ შეიძინოს და საკვებით ჩაინერგოს ის თანამედროვე ჭუჭყი, ის ბიწიერება, რომელსაც ვითომ დასცინიან სცენაზე და რომელსაც თავის და შეუგნებლად სავსებით ნერგავენ სუსტ არსებათა და ახალგაზდათა გულში. გულს სისხლი გერევა, ბრაზი მოგდის და უღონობის გამო პირს იხოკავ, და ცრემლებს ღვრი, რათ დავიკარგეთ ასე რათ აღარ შეგვრჩათ ერთი ნატამალი რამ ჩვენი ძველებისგან ან რათ იმას არ ვღებულობთ ახლისაგან რაც საუკეთესოა და სასარგებლო ჩვენთვის და მომავლისათვის, რათ დავკარგეთ მამაპაპური ზნეობის სიფაქიზის და კეთილცნობიერების ალღო, უნარი. და სამწუხარო აქ უფრო ის არის, რომ გამობრუნების, გამოკეთების, ზნეობრივ გამომრთელების და აღდგომის იმედი აღარ არის. საჭიროა, ნინო ხელახლა მოევლინოს ჩვენ წამხთარ საზოგადოებას დაუმხოს თანამედროვე არმაზი და ზადენი და დააყენოს იგი ნამდვილ მეცნიერების გზაზე, ნამდვილ წარმატების ნიადაგზე. როდის იქნება?....

დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის სიტყვების გამო საქართველოს მოკლულ რუსი ეპისკოპოს ნიკონის შესახებ.*)

(თარგმანი).

წამქეზებელნი რუს ექსარხოსის მოკვლისა ისინი იყვნენ, ვინც ქადაგებენ ძალმომრეობას ქართველ ხალხზე, ართმევენ მას სამშობლო ენაზე ლოცვის უფლებას, სდევნიან ეპარქიიდგან ხალხის საყვარელ მწყემსთმთავრებს მისთვის, რომ იგინი შეიყვარა ხალხმა, ართმევენ ხალხს მათ სავანეებს (ბოდბის სავანე, რომელშიაც არის საფლავი ქართველთ განმანათლებელის წ. ნინოს ნაწილებით, საფარის, ზარზმის, ბიჭვინთა და სხვა), რომ გადააქციონ რუს სავანეებად ან სობოროთ, რის გამოც მრავალ რიცხოვანი ქართველთ და ბერძნებთ მოსახლეები ქ. სოხუმსა და ბათუმ-

ში მოკლებული არიან მოისმინონ ღვთის მსახურება სამშობლო ენაზე, თუმცა იქ რუსებს აქვთ თავისი საყდრები. და ესრეთ, ვინ არიან წამქეზებელნი? მღალადებელნი სიყვარულისა და სიმირთლისა? მაგრამ ისინი ხომ ძალმომრეობაზე არ აგებენ თავის კარიერას და არც ოქროთი, თუნდაც ქართველებისა იყოს, იტენიან ჯიბეს, თუ ისინი, რომელნიც ქადაგებენ ძალმომრეობას და ძმათა სიძულვილეს, ამხედრებენ ძმას ძმაზე, ხალხს ხალხზე და ძალმომრეობაზე აგებენ თავის კარიერას? განა, ამ ნაირ მწყემსებზე არ ლაპარაკობს (въ Русскомъ Народѣ № 335, іюня 26) ღირსეული თავმჯდომარე იაროსლავის გუბერნიის კავშირისა ნ. ი. კაცაუროვი, ასახელებს რა იმათ „მტრებათ მართლმადიდებლობისა და თვითმპყრობელობისა, ანაფოროსან მესაფლავეებათ, რომელნიც ესწრფვიან მიტრით დაჯილდოებას, რომლის გულისათვისაც ბევრმა გაჰყიდა და ყიდიან მწყემსურ სინდისს". თუ ვიზე ამბობს კაცაუროვი, მოსკოვის მონარხისტები, ერთგულნი ფიცისა, უსათუოდ გაიგებენ და ბრალს არ დასდებენ იდეალისტს ვეცხლის მოყვარეობაში და მთავრობისაგან საჩუქრების მიღებაში, და მით უმეტეს ქართველთ დამცველნი (ი. ს. აკსაკოვი, ნ. ი. გილიაროვი, პლატონოვი, რ. ა. ფადეევი, ნ. ნ. დ—ვო და სხვა) კი არ იკვებებოდენ საქართველოს ეკლესიის სალაროს ოქროებით, არამედ ისინი, რომელნიც ცილს წამებენ ქართველ ხალხს, მათ მწყემსმთავრებს და მწყემსებს.....

იხოცებიან თბილისში წევრები «რუსეთის პატრიოტული საზოგადოებისა", რომელთაც მამა ვოსტორგოვი თავის სიტყვებში (მოკლულ ექსარხოსის თაობაზე) უჩჩევს მჭიდროთ შეკრან რაზმი", ის ეკლესიურ საქმის დამტოვებელი მოძღვარი, გარდაიქცა მრისხანე სარდლათ. აწყობენ რაზმებს, როცა მტერზე მიდიან, მაგრამ ქართველები რუს ხალხის მტრებათ ჯერ არ ყოფილან, თუმცა მ. ვოსტორგოვის რჩევით იმათაც შეუძლიათ დააწყონ რაზმი....

„რუსთ პატრიოტთა" საზოგადოება, რომელიც ხელმძღვანელობს ვოსტორგოვის პროგრამით, რომ საქართველოში რუსები არიან მეპატრონეები, ქართველები კი მონები და ამიტომ უნდა იყვნენ რუსების მორჩილებაში,- ასეთი საზოგადოება ტფილისში არ უნდა არსებობდეს, რადგან ეგეთ საზოგადოებაში არც ერთი ქართველი, თუ გინდ ერთგული ქვეშევრდომიც იყოს, არ შევა. საქართველოში უნდა იყოს მოწყობილი „ძმური კავშირი", რომელიც აერთებდეს ყველა მართლმადიდებელ ერს კავკასიაში ერთ ოჯახათ.

გ. ფ. გირშელმანი, ეხლად გამოცემულ საინტერესო ბროშურაში: „მიზეზი არეულობისა კავკასიაში "აღნიშნავს ამ უკანასკნელ დროს შესამჩნევ სმრწმუნოებრივ დაქვეითებას კავკასიელ ქრისტიანთა შორის, რაზედაც მოწმობს ღარიბი მდგომარეობა ეკკლესიებისა და მონასტრებისა".

გირშელმანი ამბობს რა, რომ მართლმადიდებელ სამღვდელოებას არ ეპყრობიან საჭირო პატივცემით მრევლში, გვითითებს მაზე, რომ მრავალ ქართულ ეკკლესიებში ღვთის მსახურება სრულდება „მრევლისათვის სრულებით გაუგებარ" სლოვიანურ ენაზე.

„უტაქტიკო მოპყრობა რუს სამღვდელოებისა და ადმინისტრაციისა, ამბობს ავტორი, რომელნიც ერთმანეთში ურევენ სარწმუნობრივ და პოლიტიკურ მიზანს, ხშირად სჩაგრავს ქართული ეკკლესიის ინტერესებს".

გირშელმანი ეხება ხალხის განათლებას და პოულობს, რომ „დაწყებითი სკოლა კავკასიაში, ნაკლებად ეთანხმება თავის პირდაპირ დანიშნულებას, მან აიღო თავის თავზე შრომა ამ მხარის გარუსებისა, მაგრამ ეგრე ტლანქად და უდიერად, რომ მხოლოდ ააღელვა თავის წინაღმდეგ მცხოვრებლები და გააფიცხა შეხედულება ყოველივე რუსულისადმი", რაც საჭირო იყო მათთვის ვინც ძალმომრეობით და გარუსების გზით იკვლევდა თავისთვის კარიერას

ავტორის აზრით, დაწყებითი სწავლა უნდა იყოს სამშობლო ენაზე, მხოლოდ შესწავლა ორივე ენებისა სამშობლო და რუსული-

სა, როგორც სახელმწიფო ენისა, ერთად უნდა მიდიოდეს, ისე რომ არ უშლიდენ ერთი მეორეს... რაც შეეხება „სამრევლო სკოლებს“ ამ ვოსტორგოვის ბალღს (მომავალ ანარქისტების დამნერგავს), ავტორი ხედავს, რომ ასეთი სკოლა საქართველოში „უადგილოა“ ადგილობრივი პირობები დაბეჯითებით მოითხოვენ დაბალ სასოფლო სამეურნეო, სახელოსნო და ტეხნიკურ სკოლებს“.

ქართული საეკლესიო-სამრევლო სკოლები მაშინ იქნებოდენ სასარგებლონი, რომ ეგინი საკუთრივ ქართველ ეპისკოპოსთა ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ, და არ უფ. ვახნინთა, ოდოევთა და სხვა ქართველთ მოძულე კორიერისტ—მ. ვოსტორგოვის ამხანაგთა.

საქართველოში მასწავლებლებათ მიდიან უმეტეს ნაწილად პოლონელები, ნემცები და ის რუსები, რომელნიც თავის სამშობლოში ვერ შოულობენ ადგილს. იმათი სწავლა მიმართულია მაზე, რომ აღმოფხვრან მოწაფის სულიდგან ყველა ის, რასაც მოწაფე სთვლის ყველაზე წმინდათ. მასწავლებლების სიმძულვარით, მოსწავლეები იწყებენ მძულვარებას რუსეთისადმიც, რომელიც აწოდებს საქართველოს, მსგავს მასწავლებლებს. გარუსებამ საქართველოში ვერ დარგო სიყვარული რუსეთისადმი, მხოლოდ კი გააფიცხა ქართველთა გული რუსების წინააღმდეგ, რაც წინად არასოდეს არ ყოფილა. რუსეთის ძლიერ ერთგულ ქართველთა სიტყვით რუსული სკოლა საქართველოში არის სკოლა სახელმწიფოს წინააღმდეგი, მისი მოქმედება დანაშაულობაა. ის ზნეობრივათ ასახიჩრებს ქართველ ყმაწვილებს და ნერგავს მათში ზიზღს რუსეთისადმი. რუსულმა სკოლამ შექმნა საქართველოში ათასობით ანარხისტი და რეოლიუციონერი.

საეკლესიო საღვთო კანონებს, მ. ვოსტორგოვი დიდ თავაზს არ უწევს. რაც შექმნა პროტესტანტთა მოაზრე ლეიბნიცმა და რაც მოიწონა პეტრე პირველმა, ის მისთვის კანონი და რაც გადასწყვიტეს წმ. მამებმა მსოფლიო კრებებზე, იმას მ. ვოსტორგოვისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ძალით მოსპობა რომელიმე თავისუფალ ეკლესიის ავტოკეფალობისა არ შეუძლია არც ერთ ავტოკეფალურ ეკლესიას რუსეთის სინოდმა, ივერიის ეკლესიის მეთაურის პატრიარქ მეფისძე ანტონი მეორის სიცოცხლეშივე, დანიშნა თავის ექსარხოსი და შეუდგა ივერიის ეკლესიის გამგეობას, ისე რომ არც ერთ ავტოკეფალურ ეკლესიას არ შეუწყნარებია ეგრეთი მოქმედება რუსეთის სასულიერო კოლეგიუმისა, რომელმაც თავის მხრიდგან არ შეატყობინა აღმოსავლეთ ეკლესიებს თავისი კანონის წინააღმდეგ შესრულებული მოქმედება ანუ ძალმომრეობა ივერიის ძველ სამოციქულო ეკლესიაზე და მის მეთაურის, პატრიარქის დატყვევება. ამნაირად მსოფლიო პატრიარქს და სხვა აღმოსავლეთ მღვდელმთავრებს თავის მხრიდგან დღემდისაც არ დაუმტკიცეივერიის ეკლესიის რუსეთთან შეერთებარის გამოც აღმოსავლეთ ეკლესიათა და მის კანონისტთა თვალში, ივერიის ეკლესია განაგრძობს ავტოკეფალობას.

ქართველები დეკანოზ ვოსტორგოვის მადლიერნი არიან მისთვის, რომ მან იმდენად გაამაგრა ქართველთა შეგნება მათი ეკლესიის ავტოკეფალობისა, რომ დღეს არც ქართველ სამღვდელოების და არც თვით სამწყსოში არავინ არის, რომელიც არ ესარჩლებოდეს თვის ეკლესიის დარღვევულ კანონებს.

ჩიხელი.

(შემდეგი იქნება)

რას ამბობენ შესანიშნავი ადამიანები ბიბლიის შესახებ? *)

შემდეგ შესანიშნავ ადამიანთა მიერ ბიბლიის ასეთ დაფასებისა მკითხველმა ახლა თვითონ გადასწყვიტოს, თუ რავდენათ საფუძვლიანია მოსაზრება ზოგიერთ ადამიანებისა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მხოლოდ რეგვენ და უფიც ადამიანებს შეუძლიათ, იწამონ ჭეშმარიტება და სიწმიდე ბიბლიისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემომოყვანილი სწორედ წინააღმდეგს ამტკიცებს. ამას უნდა დასთანხმდეს ყველა წინად განუზრახველი ადამიანი.

საუკუნეთა განმავლობაში უცვლელი მნიშვნელობა ბიბლიისა და სრულიად დაუმცირებელი თავვანის ცემა მისი მადლ დირსების წინაშე კაცთაშორის—ფაქტია, რომელიც უნებლიეთ გვაკვირვებს და ეფიქრების ყველა მოაზრე ადამიანს, და ეს განსაცვიფრებელი ფაქტი აიხსნება მით, რომ ბიბლია მარად ცხოველი წიგნია, მოცემული დვთისა მიერ უსაზღვრო წარმატებისათვის ჩვენი სოციალურ და ინდივიდუალურ ცხოვრებისა. უმაღლესი ადგილობრივ და დროებით მნიშვნელობათა, ბიბლია წიგნია საკაცობრიო ამ სიტყვის უთუო და უმაღლესი აზრით. მრავალი წიგნი, კაცთაგან დაწერილი, დიდი ხანია მოკვდა, ან დარჩა ისე უსიცოცხლო, როგორც ეგვიპტის მუმია; მათი გამოჩენიდან გასულმა დრომ ფასი დაუკარგა მათ, და ის უმაკალითო განვეირვებებ და მადალი პატივის ცემა რომელსაც იწვევდა თვისადმი ეს წიგნები ოდესმე, თავის დროზე, დღეს უკვე დავიწყებულია, გამოსჩხრიკეთ იგინი, თუ გნებავთ, წიგნთსაცავებში, მაგრამ არ ატოკვებენ იგინი ადამიანის გულს, არ გაათბობენ ჩვენს სულს. ადამიანთა გენიის უმეტეს ნაწარმოებთა დიდების უმტკიცეობა და სულიერი გავლენის უსრულობა აიხსნება მხოლოდ მით, რომ ეს ნაწარმოებნი, მიუხედავად მათი უჩვეულო დიდებულებისა, იყვნენ ნამობნი თავის დროის და ხალხის სულისა, და ამისთვის, ბუნებრივად, მათ უნდა დაკარგოდათ ყოველი ძალა და მნიშვნელობა სხვა დროისთვის, კეთობრიული ცხოვრების სხვა გვარ დამოკიდებულებათათვის.

*) იხ. „შინაური საქმეები" № 1

„Hadent sua fata lidezi" „წიგნებსაც აქვს თავისი ბედი"' ამბობდნენ ძველად. ეს ნამდვილია. წიგნები მოდის და მიდის, როგორც ადამიანთა თაობა, რომლის შვილნიც არიან-იგინი. მხოლოდ ერთად ერთი ბიბლია—ეს უმეტესად კურთხეული წიგნი დვთისა, თუმცა რავდენი ათასი წელია არსებობს ადამიანთა შორის, მით არა ნაკლებ უკვდავია მისი სიცოცხლე და დაუჭნობელი მისი ძალა. ვინაიდგან იგი დაპარკოს არა განსაზღვრულ დროთათვის და არა მარტოდ გამორჩეულ პირებთან, აქვს მნიშვნელობა არა მხოლოდ ცხოვრების რომელიმე მდგომარეობისათვის, არამედ ქვეყნის თავის დვთივ განცხადებულ ჭეშმარიტებას ყველა დროისთვის და მთელი კაცობრიობისათვის, გვეწევა და ხელმძღვანელობას გვიწევს ცხოვრების ეოველგვარ კარეშოებაში. მიუხედავად თავის სიძველისა, ბიბლია მარად ახალგაზრდა და ნორჩი თვისი იდეებით და ღრმად ამოძღვრებს ყველა დროის ადამიანებს. ახალგაზრდობის ნაში ბიბლიისა ახლაც კიდევ მასზეა, მისი სიტყვანი ახლაც გარდებიან ცოდნ ახალი, როგორც წვიმა. მისი ჭეშმარიტებანი დღემდეც აძლევენ მარად ცხოველ ნუგეშს ქვეყნის ყველა მაშვრალ შვილს. არასოდეს არც ერთი წიგნი არ დაპარკობდა ისე, როგორც ეს წიგნი; მისი ხმა ისევე ეოველის შემძლებელია, როგორც დვთის სიტყვა და მარად სავსეა ზესთა კაცობრიულ დიდებულებითა. მთელი ათასი წლები არსებობს ბიბლია განათლებულ ხალხთა შორის და ამ ხანგრძლივ დროის განმავლობაში იგი განუწყეტლივ იბრძვის თავის სულიერ მეფობისათვის და უმაგრდება თავდასხმას, მრავალ მომართულს მისადმი მოწინააღმდეგე დაშქრიდან — ურწმუნოთა და დვთის უარეოფელთაგან, ასე რომ ბიბლიის ისტორიის მრავალ საუკუნოვან დროთა განმავლობაში არ დარჩენილა მის შორის, შეგვიძლია ვსთქვათ, არც ერთი ნათქვამი, რომელიც მიკრონსოპიულად არ განეხილოს მის მტრებს. ამ დიად წიგნის მრავალ რიცხოვან ფურცლებზე ძნელია უჩვენოთ რომელიმე ადგილი, სადაც არ შეხლოდენ ერთმანეთს მისი მტრები და მოყვრები ცხარე ბრძოლით. დროთა დრო ბიბლია ეჩვენება მაყურებელს თითქო ნაკუწ-ნაკუწ დაჭრილად, უარეოფილად და მოსპობილად, მაგრამ ნამდვილად კი ბიბლია ყოველ თავდასხმის დროს სდგას, როგორც ურეეკიკლდე, როგორც კრდეშლი,

რომელზედაც იმუსრება ასობით ურო და მას კი არსებითს ვნებას ვერ აუნებს. რაგდენსაც არ ეცდნენ ზოგიერთები ჩამოეყვანათ ბიბლია იმ მიდად საფეხუდან, რომელზედაც სამართლიანად აიყვანა იგი მადიონ ადამიანმა, მით არა ნაკლებ მისი მდგომარეობა წინანდებურად შეურყეველი რჩება და ერცელდება იგი ქვეყანაზე უფრო სწრაფად ვიდრე წინეთ. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ვოლტერის დროს იგი ბეგონებოდა სრულიად უარყოფა. შესანიშნავი მკიცხავი ვოლტერი, განსთლებული ადამიანი თავის დროისა, სხვათა შორის სწერდა: „ასი წლის შემდეგ ბიბლიას დაივიწყებენ და მისი შოვნა შესაძლებელი იქნება, ეით იშვიათი რამისა, სალაროებში და არქეოლოგიურ მუზეუმებში. ულმრთო და მოსისხლე ურწმუნოება ეულური ძალით ერცელდებოდა საფრანგეთში და მის მეზობელ ქვეყნებში. ამის შემდეგ გაიარა ას წელზე მეტმა. თვით ვოლტერი მართლა ისტორიის საკუთრებად გადაიქცა. იგი მოკვდა, როგორც ლაჩარი, ასე რომ თვით მის უკეთეს ამხანაგებს რცხვენოდათ მისი სიკვდილისა, და დაიკარგა ისტორიაში შორს არა საპატიო ადგილი, ბიბლია კი ცოცხალია დღემდე და წაართა შეუდარებელი ძალისა და ჭეშმარიტებისა. მთელ კულტურულ ეროპრიობისთვის. შესანიშნავია რომ, სწორედ იმ ადგილზე, პარიეში, სადაც ვოლტერმა წარმოსთქვა ოდესმე თვისი ზემოთმოყვანილი წინასწარმეტყველება ბიბლიის შესახებ, დღეს=ასეთია ღვთის განგება!—არსებობს საწყობი ბიბლიისა ბრიტანიის ბიბლიურ საზოგადოებისა, რომელიც ეოველწლობით აერცელებს იქიდან 150.000 წიგნს საღმრთო წერილისას. ასეთია ბედის დაცინვა! მიუხედავად იმისა. რომ წარმართი რომი ცდილობდა ბიბლიის მოსპობას, პაპის რომი საშუალო საუკუნოებში—მის დაპატიმრებას, რაციონალიზმი ახალ დროისა—მის დაუძლურებას, საფრანგეთის ურწმუნოება მისი გაკიცხვას, ახალი პანტეიზმი—მისი დასაფლავებას, თასამეცნიერო კრიტიკა—უსაზღვროდ დაშორებას ეროპრიობის უმეტესობისაგან; მიუხედავად იმისა, რომ მას ასე ხშირად კამოუცდია ბორტი თაღლითმა,—ბიბლია მაინც ცოცხალია და არა თუ ცოცხალია დღეს ბიბლია, მას არასოდეს გამოუჩენია ასეთი სიცოცხლე, როგორც ჩვენს დროში. განა ასოდეთ ბიბლიური საზოგადოება საკუთარი ფაქტი არ არის? ამ საზოგადოებამ გამოსცა **312,000,000-ზე მეტი ცალი** ბიბლია და გადათარგმნა იგი **350 ენაზე** და **70 ისეთ ენაზე**, რომელთაც წასულ საუკუნის დასაწყისს არ ქონდათ არც ანბანი, არც არავითარი კვალი ლიტერატურისა. ეს ფრიად შესანიშნავი, ანუ უკეთ ვთქვათ, განსაცარი ფაქტია. ბიბლიას დღეს მთელ ქვეყანაზე უდრმესი მისწრაფებით ეკიდებიან არა მარტო მისი მეგობარნი, არამედ მისი მტრებიც, არასოდეს არ წყვლობდნენ ბიბლიას ასე გულსმოდგინედ, არასოდეს არ იყო მიქცეული მისადმი ასე ძლიერად ყურადღება ყველა ადამიანისა საერთოდ, როგორც ჩვენს დროში.

ბიბლიას დღესაც აქვს თვისი უცვალებელი, ძლიერი გავლენა ქვეყნის ერებზე და საღმრთო პატივისცემა მათ შორის, არა მარტო გაუნათლებელ ხალხში, არამედ მეცნიერების თვით უკეთეს და უმაღლეს წარმომადგენელთა და სახელმწიფო და საზოგადო ცხოვრების უკეთესობისაღეს მოღვაწეთაგან. ბიბლია ჭეშმარიტად დიადი, ცხოველი წიგნია! სიტყვა ღვთისა მარად ცოცხალია, მისთვის რომ იგი ცოცხალი ჭეშმარიტებაა. ჭეშმარიტება სომ არასოდეს მოკვდება,—იგი უკვდავია. ნათლის წყაროსთან ანთებული იგი გაუქრობელია. მრავალი ოდესმე სახელოვანი ფილოსოფიური სისტემა და არა ქრისტიანული სარწმუნოებრივი მოძღვრება დღეს, როგორც ცოცხა, დავიწყებულია და დიდი ხანია დასაფლავებულია, მაგრამ ჭეშმარიტებამ იესო ქრისტესმან არ იცის საფლავი, მას არ ეშინია დასაფლავებისა; იგი ცოცხლობს, ანერთოგანების ადამიანთა გულს და არასოდეს ადაგვება ადამიწის პირიდან.

სიტყვა ღვთისა ცოცხალია, რადგანაც იგი არის სიტყვა უცვალელი და უსაზღვრო ღვთისა. ღმერთი არ იტყვის დღეს ისეთს, რაც გუშინ საწყალი არ იყო ავრეთვე ხვალ არ ამოშლის იმას, რასაც დღეს ამბობს. რაც ვკითხულობთ ადამქმა, წარმოთქმულს სამა ათას წლის წინათ, იგი ისე ძლიერია და ახალი, თითქო დაუსაბამო ბაგეს წარმოთქვამს იგი დღეს. საუკუნო სიტყვას, ეოველის-შემძლებელის ბაგეთაგან გამოსულს, დღესაც იგივე ძლიერი ძალა და იშვიათი სიახლე აქვს, როგორც მაშინ, როცა **იგი** ეუბნებოდა მას მოსეს, ილიას ან დაბარკობდა წინასწარმეტყველთა პირით. იგი

(სიტყვა ღვთისა) მარად ჭეშმარიტია, უცვლელი და ძლიერებით აღსავსე, იგი არასოდეს არ იქნება დრეოჭმული; იგი მარად ახალია, რადგანაც წყალია ცხოველი.[13])

ბიბლიის მინშენლობა მთელი ჩვენი სულიერი ცხოვრებისათვის განუზომელია. „მთელს ქრისტიანულ კულტურულ და სულიერ ცხოვრებას, სწერს დიუტარდი, ორი ფესვი აქვს წასულში; ერთია სპერძნეთის და რომის ნაადაგში, მეორე—ღვთის ერის ქვეყანაში. აქიდან ვღებულობთ ჩვენს სულიერ განათლებას, აქიდან მივიღეთ ჩვენი სარწმუნოება. და ეს უკანასკნელი ბერძნულ—რომაულ საერო განათლებისაა და ახალ ერთა ხასიათთან ერთად შეიწყო ერთ დიად მთელად ქრისტიანულ კულტურულ ცხოვრებისა. მაგრამ ეველა სულიერ განათლების საშვალება მწერლობაა. როგორც ხასიათი ძველ დიად კულტურულ ერთა გვეუწყება მათგან დაწერილ თხუზებათა საშვალებით, ამგვარადვე ისრაელის სარწმუნოებასა და ქრისტიანობას აქვთ თვისი ლიტერატურა. ეს ლიტერატურა გვაუწყებს ამ სარწმუნოების თვისებას საერო განათლების მწერლობასთან ერთად გამოდის სარწმუნოების ეს სამართო მწერლობაც. თითქმის მიუხედავად რელიგიურ შინაარსისა, კაცობრიული მხრით მარტო რომ განვიხილოთ, სამართო წერილი წარმოადგენს უდიდესულს დიტერატურულ ნაწარმოებს, ერთად ერთს მთელ ქვეყანაზე თვისი განსოცარი სიმარტივით და მოთხრობათა ისტორიულ მნიშვნელობით, ახრთა სიდრმით და სისრულით, სიტყვის ძალითა და სხვა და სხვაობით, ებოზიის სიმდიდრითა და სიდამაზით. ბევრად უფრო ადრე, ვიდრე **პინდარი** თავის ძველის კალობებში ქებას შესხამდა ულუმბოს სათამაშოებზე გამარჯვებულებს, **დავითი** სიხარაულა თავის ფსალმენთა, რომელთა ადმოფრენა და ძალდესაც ატკბობს ჩვენს სულს, და ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ჭოშიროსი შეიტრე ახალის ნაბერას ადტაცებას მისცემდა თავის ერის ახალგაზდობას **ტროის** გმირთა მოდგაწეობის შესახებ მოთხრობით, **მოსე** და მ.ა. და გალობდენ ძველის გალობას ეგვიპტის მეფის დალეშვის გამო, ან შესანიშნავი მსაჯული წინასწარმეტყველი **დებორა** თავის გალობის უდიდებულეს ნაკვეთებში ქებას ასხამდა თვისი ერის გამარჯვებას. რაცა ტიბრის ნაპირას სერზე ჯერ მხოლოდ საფუძველს უყრიდენ მომავალ მსოფლიო ქალაქ—რომს, ამ დროს კი ისრაელთა შორის წინასწარმეტყველნი ზეკარდამო განათლებულ სულით ათვალიერებდენ ხალხთა ბედს, წინასწარმეტყველებდენ მათ მომავალს და დემოსთენის სიტყვათა უადმატებულესად ძლიერი სიტყვით, ესხიალს ებოზიაზე უდიდმშვენიერესი ებოზიის ადმოფრენით აუწყებდენ თავის ერს ღვთის სამართალს ცოდვათა თვის ერისა, ან ახარებდენ ღვთის მადლს ისეთ სიტყვებში, რომლებიც უფრო მეტი სიყვარულით ადსავსეა, ვიდრე ფრიად სასიყვარულო სიტყვა თომელიმე სოფოკლისა. არ არის ისეთი ხმა კაცობრიულ გრძნობათა მხარეში, რომელიც იქ არ იყოს გამოხატული—სადმრთო რისხვისა ქუხალი-სებურ ჭექიდან, ან სასოწარკვეთილების გულის დამწვეტ გოდებიდან დაწყებული შებრალების უნაზეს ხმათამდე ან სიყვარულის უმგზებარეს გალობათამდე. ჩვენ გვახსოვს სახელები სპერძნეთის შვიდი ბრძენისა და მათი ნათქვამი, მაგრამ რა არის სიბრძნე ამ ბრძენთა ძველ ადშქმაში მოთავსებულ „ცხოვრების სიბრძნის“ სიუნჯეთა შედარებით?

ჩვენ ვიფვლებით ებოტონის ახრდენებათა სიდრმეში და ადტაცებაში მოვდივართ მის იდეათა კეთილშობილებით, მაგრამ სადმრთო წერილი დაბარაკობს საუკუნო იდეათა მხარეზე, და გამოთქვამს ფრიად დრმა ახრებს და ფართო შეხედულებას ისეთი დიბეკითებითა და სიმარტივით, თითქო საქმე შეეხებოდეს ქვეყნის უბრალო ჭეშმარიტებას ან ეველასთვის გასაგებ და ნაცნობ დებულებას. სადმრთო წერილი მარტო კაცობრიულად რომ განვიხილოთ, როგორც ნაწარმოები ადამიანისა, უეჭველია შორს აღეტატება ეველა დიტერატურულ ნაწარმოებს ეველა დროისა და ხალხთა. წარმოვიდგინოთ, აქამდე არ გვქონოდა ბიბლია, ახლა მხოლოდ ადმოეჩინათ რომელიმე წიგნთსაცავის კუთხეში,—რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ადმოჩენა!.. ბიბლია, როგორც ადმოულეველი წყარო სულიერი დარიბებისა იღეტატება ეველა სხვა თითქმის გენიოსთა ნაწარმოებს. და მართლა რანაირი წიგნია ეს! მასში ვხედავთ სულის უმაღლეს კითხვებს, უწმიდეს გრძნობებს და აზრებს. მას ეოველთვის შეუძლია ხელახლად განაცისროფნოს ჩვენი სული რა ენმს

[13]) см. ч. спруджана живля книга Бесѣда о библіи.

დაგეწაფებით მას. მასში სჩქეფს მარად მოკამკამე წყარო, რომელშიც ჩვენი სული ცხოველდება. სოფლიურ განბნეულობიდან, დღიურ ხმაურობიდან, აზრთა და გრძნობათა ცილობიდან შეგვიძლიან ავაგი შევაფაროთ მასში: იქ ჩვენი სული მშვიდდება, იქ გვიბერავს მარადისობის ნიავ, იქ შეფობს სიწმიდე დვთისა“.[14])

ონ. მწირი.

(შემდეგი იქნება).

იმერეთის მარშლებს.

(გაგრძელება).

სიმონ წერეთელს.

ბატონო! ქართამს რომ არ იღებ,
ამაზე ფიცში ჩაგყვები,
მაგრამ ამავე სიმტკიცით
კლუბამდი ველარ მიგყვები.

Давит ნიჟარაძეს.

„წელკავი“ უკვე მოგცილდა,
ალარ გახჩობს იგი სენი...
ვთქვათ: რა მიზეზით გირჩევენ
მამა-პაპათ ღირსნი ძენი?
წინ წადგომა, შნო და რიხი
კარგათა გაქვს შენაძენი,
მაგრამ ზნეობის გაკლია
სიფაქიზე სინაზენი.

კოწია ერისთავს

როგორც გსურს ისე მიიღე
ეს ჩემი მონახსენები,
„თუ თავი შენი შენ გახლავს,
ლარიბად არ იხსენები“.

კოკი დადიანს

ცხრაას ხუთში შენი ჩინი
ლობეზე რომ გადაკიდე,
მემრე გნახეს ქე ეძებდი
იმავ ლობის კიდის კიდე...

ბიპიკო წერეთელს.

წერეთლებს გვარათ მოგდგამენ
ამ გუბერნიის მარშლობა,
ასეთს „ნასლედსტვოს“ მომლოდეს,
მსურს გაგიწიო მაშვლობა.

დათიკო ჯაფარიძეს

ექიმობა და მარშლობა
ორივე რომ შენ გრგებია,
იმის ფული, ამის კენჭი
ვითომ ღირსად შეგრგებია?

იასონ გელოვანს

„ტანად ლომო და პირად მზე,
ვაჟკაცო ლამაზ ენაო“,
გამოვტყდეთ: დეპუტატათ რომ
სხვას ყველას ჯობდი შენაო!

ქუთაისის თავად აზნაურობას

არც თქვენ იცით თქვენი საქმე,
არც უჯერით არაფერს სხვას:
მოტირალის გასაგზავნად
რა გჯიდათ თქვენ, ფულის ხარჯვას?

დეპუტ. საკრებულოს.

დეპუტატთა საკრებულო,
თავადნო შიდ შეკრებულნო,
თქვენისავე მკონარობით
მოსასპობად წოდებულნო!
ამა ერთი თუ გაბედოთ,
ამ ახალ წელს დაიბედოთ
შრომა, სწავლა, მეურნობა
თქვენთა შვილთა საიმდოთ!

---

[14]) Хр Э, лютардтъ. Апологія христіанства.

საზნაურო ბანკს.

უხვად გასცემდი, რას დასდევ,
შკოლა თუ დაიხურება?
რა აზნაურის საქმეა,
მდიდრული განძის ყურება?

ერემეევს.

„აკაკაჩია, ბაკაკაჩია,
გისვამს, გიჭამია,
გზა გაგაჩნია.“

ხოხობი.

(შემდეგი იქნება).

სიტყვა,

თქმული 25 ქრისტესშობისთვეს 1909 წელსა ქვაშეეთის სულის წმიდის ეკლესიაში.

შობამ.ნ შენმან,ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა...

ჰგალობს დღეს წმიდა ეკლესია და საფუძვლიანადაც ჰგალობს: ნათელი ჭეშმარიტის მეცნიერებისა აღმოუბრწყინდა კაცობრიობას მხოლოდ ქრისტეს შობის და მისის მოღვაწეობის გავრცელების შემდეგ. მანამდის კი კაცობრიობა გარემოცული იყო უმეცრების წყვდიადით და მისს საუკეთესო წარმომადგენელების ცდა,—გამოეყვანათ იგი ამ უმეცრების უფსკრულითგან, რჩებოდა უნაყოფოდ. მიზეზი ამ მოვლენისა ცხადია: კაცობრიობამ დაივიწყა **მხოლო ჭეშმარიტი ღმერთი** (იოანე 17, 3) და თაყვანი—ესცა ცის მნათობთა და მფრინველთა, ქვეყანის ოთხ-ფეხთა და ქვეწარმავალთა, ბუნების ძალთა და მოვლენათა, და თვით ადამიანსა და მის ენებათა. ამისგამო, საითკენაც უნდა მიეხედ-მოეხედა ადამიანს, ყოველგან ღმერთები იყვნენ დაბუდებულნი, და მას, უბრალო მომაკვდავს, ნება არ ექონდა შესულიყო ღმერთების საყოფელ-საბრძანებელში და თავის კვლევა—ძიებით შეეწუხებინა და შეურაცხეყო იგინი! კაცობრიობის უმრავლესობაც დაემორჩილა ამ რწმენას და, უმეცრების წყვდიადში გახვეული, ლოცვა-ვედრებით ეგებებოდა ბუნების მოვლენათა და მსხვერპლ-შესაწირავებით ცდილობდა მოემადლიერება მძვინვარე მხეცნი, მის მიერ ღმერთებად შერაცხილნი. ხოლო, თუ ვინმე გაკადნიერდებოდა და ეჭვის თვალით დაუწყებდა ცქერას ამ გვარს ღვთის მსახურებას, და ამასთანავე მოინდომებდა ბუნების მოვლენათა შესწავლას და გამოკვლევას, მას ან წუთის სოფლს გამოასალმებდნენ, ან არა და აიძულებდნენ სამუდამოდ გაშორებოდა სამშობლო მიწა წყალს: დიდებული სოკრატი იძულებულ-ჰყვეს თავი მოეწამლა, ხოლო ნამდვილის მეცნიერების მამა არისტოტელი სამშობლოდგან გააძევეს, როგორც ღვთის უარისმყოფელი! აგრეთვე დღე დააყენეს ბევრს სხვას და მათ შორის არისტარქოს სამოსელს, რომელმაც ოცი საუკუნით უწინარეს გალილეისა გამოიკვლია, რომ დედამიწა ტრიალებს მზის გარშემო, და არა ზზე დედამიწის გარშემო. ერთის სიტყვით, მეცნიერული კვლევა-ძიება ქრისტეანობის გარეშე შეუძლებელი იყო, ვინაითგან წარმართება ცრუმორწმუნოებაზედ იყო დამყარებული, ხოლო ცრუმორწმუნოება მეცნიერებას ულმრთოებად აღიარებდა.

ნათელი მეცნიერებისა აღმოუბრწყინდა კაცობრიობას მხოლოდ მაშინ, როცა გავრცელდა კაცთა შორის ჭეშმარიტი მსოფლმხედველობა. ე. ი. მაშინ, როცა გავრცელდა ქრისტეანობა... ქრისტეანობამ ჰქადაგა, რომ ღმერთი არის სული უკვდავი და ცხოველი, რომ მან შეჰქმნა ცა და ქვეყანა და ყოველივე რაიცა არს მათ შინა, რომ ადამიანს, შექმნილს ხატად და მსგავსად ღვთისა, ნაბრძანები აქვს შემოქმედისაგან: აღორძღნდით და განმრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა, და ეუფლენთ მას, და მოსვრობდით თევზთა ზღვისათა, და მფრინველთა

ცისათა, და ყოველთა მბრუტეველთა, და ყოველსა ქვეყანასა, და ყოველთა ქვეწარმავალთა ქვეყანასა ზედა (შექმნათა 1,28). ამ სახით, ის, რაც წარმართების რწმენით, ღმერთად იყო შერაცხილი, ქრისტეანობამ აღიარა ხმსახურებელად კაცთა (ფსალმუნი 103, 14) გაჩენილ-დაბადებულად, განდევნა ქვეყანითგან ცრუ ღმერთები ალ დაავალა ადამიანს,—მთავრობა და უფლობა გაეწია ქვეყანაზედ. ხოლო როგორ შესძლებდა ადამიანი ბატონობის გაწევას ქვეყანაზედ, ან როგორ დაიმორჩილებდა ის თევზთა ზღვისათა, მფრინველთა ცისათა, პირუტყვთა ქვეყანისათა და თვით ქვეყნის ძალებს და კანონებს,—თუ არა მათის ბუნების შესწავლით და ამ შესწავლის შედეგით სარგებლობით?! მაშასადამე, ქრისტეანობამ ადამიანის ქმნილებათა გვირგვინად და ქვეყნის ბატონად გამოცხადებით მიანიჭა სწავლა-ძიებას, მეცნიერებას თავისუფლება. და აი ამ თავისუფლებით აღჭურვილი კაცობრიობა თან და თან იმორჩილებს ბუნებას და მის ძალებს, ასე რომ, დღეს იგი ბრძანებლობს არამც თუ ცხოველებს, არამედ ცეცხლსა და წყალსა, ორთქლსა და ელექტრონსა, თავისუფლად ნავარდობს ზღვის სიღრმეში და ცის სივრცეში, ეძიებს და პოულობს დედამიწის გულში მრავალს მისთვის საჭიროს და სასარგებლო ლითონებსა და ქვებს, სთხრის გვირაბებს და გაჰყავს გზები თვალუწვდენელ მთების ქვეშ, რაოდენიმე ვერსტის სიშორეზედ თავისუფლად ელაპარაკება ერთი მეორეს და სხვა..

ყოველივე ეს აღმოუბრწყინა სოფელსა ამ 1909 წლის წინად განხორციელებულის უფლისა იესო ქრისტეს სწავლამ და ამ სწავლაზედ დამკვიდრებულმა მსოფლ-მხედველობამ, რაიცა წინასწარ დაინახეს და საქვეყნოდ აღიარეს მოგვთა, ადმოსავლეთ მხსულთა, რომელთა, იხილეს რა ურმა იესო, დგარდეს და თაყვანი-ჰსცეს მას, და აღღეს საუნჯეთა მათთა, და შესწარეს მასსა ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური (მათე 2, 11).

საყვარელნო! მოგვთა თაყვანი-ჰცეს უფალს იესო ქრისტეს მაშინ, როცა მისი სწავლა-მოძღვრება ჯერ კიდევ არა ჰქონდათ გაგონებული და არც თავიანთ თავს უწოდებდნენ ქრისტეს მორწმუნედ, ქრისტეანებად. ჩვენ კი, ქრისტეანებადაც ვუწოდებთ ჩვენს თავს, უფლის სწავლაც გვსმენია და მის მიერ დამყარებულის მეცნიერების თავისუფლების ნაყოფითაც გვისარგებლნია,—მაშ თაყვანის-ვჰსცეთ მას წრფელის გულით, შევსწიროთ მადლობა მეცნიერების ნათელის აღმობრწყინებისათვის და გულს მოდგინეთ ვსთხოვთ, რომ განაძლიეროს ჩვენში კეთილის სწავლის ხალისი, მეცნიერებისადმი ლტოლვილება და ჭეშმარიტების სიყვარული. ამინ.

დეკ. კ. ცინცაძე.

დაგვიანებული პასუხი

გაზეთ „ჩანგის“ 40 №-ში, ვიღაც წეწე ჩერჩეტა მე სხვათა შორის ჩემს პიროვნებასაც სწვდა და მიწასთან გაასწორა. ჩიტი რეკა კორესპოდენტი ბრძანებს თვისის უებრო ენით: „თუ მეორე მასწავლებელიც იგეთი გამოდგა, როგორიც ეხლანდელია, რომელიც ყოველ გვარ კულტურულს მუშაობას ისე გაურბის, როგორც მართლ-მორწმუნე ებრაელი ღორის ხორცსა, ხოლო ქორწილებსა, ლხინსა და ზურნაზე ბუქნაში ცალი არ ჰყავს, მაშინ ჩვენი სასწავლებელი განათლების ტაძარს კი არა უფრო სხვა რამეს დაემზგავსება“. ბატონო კორესპოდენტო რაღაც პირადი ანგარიშები ალაპარაკებს, თორემ ამ სისხო სიცრუის გამოხოხორიკებას ასრე ურცხვად ვერ გაბედავდა. ის რომ მიუდგომელი პირი ყოფილიყო სხვავის სამინისტრო სკოლის ორკლასიანათ გადაკეთების საქმეთა მეთაურებს არ დაივიწყებდა და მადლობასაც ეტყოდა, მაგრამ მაშინ ხომ მის მიერ ათვალწუნებულ თქვენს მონა მონა მოსამსახურეს ვეღარ გალანძღავდა და თვისი უმთავრესი მიზანი შეუსრულებელი დარჩებოდა. ერთი გამაგებინოს სწორ-უპოვრამ კორესპოდენტმა, რომელ კულტურულ საქმეს გავექცეი? საქმე რაც პირზე მოგადგება ისის როშვაში კი არ არის, არამედ თქმულის

უტყუარის ფაკტებით დამტკიცებაშია ნუ თუ მასწავლებელი უკეთუ ის თავის საქმეს კეთილ სინდისიერათ ასრულებს, კულტურულ საქმეს არ ემსახურება? დამიმტკიცოს ბ. წეწემ რომ მე ჩემს სოვალეობას ცუდად ვასრულებ და მაშინ გასავალი ექნება მის მიერ ნაჩმახავს, თორემ ცალიერი თვით ჭეშმარიტების გმობაც კი შეიძლება. რაც შეეხება ჩემს მოქეიფობაზე ლაყბობას, მასზედ პასუხის გაცემაც სამარცხვინოთ მიმაჩნია. მასწავლებელმა რომ ქორწილებსა და შეკრებილებაში ფეხი არ შესდგას, ამისთანა აბსურდი ყრანტალი მართლა წეწესთანა ორ გროშიან აბლაკატებს შეუძლიან და არა საღის გონების მქონე ადამიანს ერთი სიტყვით თამდენი სიტყვაც არ უხმარია იმდენი სიცრუე მიუკერებია. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ და არც მკითხველი შევაწუხოთ, წინადადებას ვაძლევ ბ. წეწეს გამოიჩინოს მოქალაქობრივი გამბედაობა და ნიღაბით აიხადოს და ყოველი მის მიერ თქმული უტყუარის ფაქტით დამიმტკიცოს. უკეთუ ეს ამას ვერ იზამს, მაშინ დეე იცოდეს მთელმა ქვეყანამ, რომ წეწე ყოფილა საზიზღარი ცილის მწამელი და პირადის ანგარიშებით და ბრმობილ პირი

სხვავის მასწავლებელი თედორე საგანელიძე

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჯედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

ქუთაისში 6 იანვრ. 1910 წ. გამოვიდა

ილუსტრირებული ალმანახი

„ჭინკა"

დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება შემდეგი აღრესით: Кутаисъ, типографія „братства"—Алманахи.

ვამზადებ

საეკლესიო და საღიაკონო საგნებში,

აგრეთვე სამასწავლებლო ეგზამენის ასაღებად.

ადრესი: ქუთაისი, კაზაკოვის ქუჩა, № 17

დაიბეჭდა

შემდეგი ბლანკები:

კლირთვის უწყებები

ახალი ფორმისა

თანახმად უწ. სინოდის ნაჩვენებ ნიმუშისა.

კანტრაკტი

საეკლესიო მამულების იჯარით გასაცემად

სავაჭრო ფურცელი

(Торгов. листъ)

ჯილდოს ფურცელი

(Наградн. листъ).

მოიკითხეთ

იმერეთ. წმ. გიორგის სარწმ. განმ. „ძმობის"

სტამბაში

ქ. ქუთაისში, თფილისის ქუჩაზე, ს. კირიშჩევის სახლში (გუბერნატ. კანც. ქვეშ).

Открыта подписка

на ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ журналъ

„ВЕСЪ МІРЪ“ въ 1910 году.

Журналъ издается при участіи лучшихъ литературныхъ и художественныхъ силъ—по типу иностранныхъ литературныхъ еженедѣльниковъ.

По богатству и разнообразію матерьяла „ВЕСЪ МІРЪ“ является первымъ въ Россіи иллюстрированнымъ еженедѣльникомъ.

Въ программѣ журнала всѣ отдѣлы толстыхъ журналовъ.

ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ФЕЛЬЕТОНЪ

Новости русской и иностранной художественной жизни. Новости науки и искусства. Снимки съ картинъ, портреты, фотографіи, рисунки, шарки, карикатуры и проч.

Пробный № высылается за одну 7-копѣечную марку.

Подписка на „ВЕСЪ МІРЪ“.

1 годъ—(52 №№)—2 р. 50 к.; 6 мѣс.—1 р. 25 к.; 3 мѣс.—70 к.; 1 мѣс —25 к.—съ доставкой и пересылкой. За перемѣну адреса подписчики уплачиваютъ 15 коп. Разсрочка допускается для годовыхъ подписчиковъ: 1 р при подпискѣ, 1 р. къ 1 марта и 50 к. къ 1 іюля.

Пріемъ подписки и объявленій въ конторѣ журнала

„ВЕСЪ МІРЪ“

Москва, Никольская, домъ Чижовскаго подворья.

Годовые подписчики журнала „ВЕСЪ МІРЪ“ на 1910 г. получатъ безплатно всѣ номера журнала, вышедшіе въ 1909 г.

(3—2)

Типографія Кутаисскаго религіозно-просвѣтительнаго „братства“ Тифлисская, домъ Кирпичева